ხელშეკრულება №587

(სახელმწიფო შესყიდვების შესახებ)

ქ. თბილისი 16ოქტომბერი 2015 წ.

ერთის მხრივ, სსიპ „ლ. საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“ (შემდგომში „შემსყიდველი“) მისი გენერალური დირექტორის მოადგილის ეკატერინე ქავთარაძის სახით და მეორეს მხრივ, შპს „მაისოფტ“ (შემდგომში „მიმწოდებელი“) მისი დირექტორის დავით ჟორჟოლიანის ვაფორმებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საფუძველი

1.1. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10 მუხლის მე3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

1.2 2015 წლის ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015წლის 30 ივნისის N308 დადგენილება.

1.3 დაფინანსების წყარო: უსაფრთხო სისხლის სახელმწიფო პროგრამა, „ხარისხის გარე კონტროლის და მონიტორინგის უზრუნველყოფის” კომპონენტის ფარგლებში.

2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

2.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 24 150.00 (ოცდაოთხი ათას ას ორმოცდაათი) ლარს (მომსახურების შესყიდვასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით).

3. ხელშეკრულების შესყიდვის ობიექტი

3.1.“მონაცემთა მომსახურების“ შესყიდვა (CPV72300000), სისხლის დონორთა ერთიანი ეროვნული ელექტრონული ბაზის მომსახურება, რომელიც მოიცავს:

1. **ორგანიზაციების რეგისტრაცია. სისტემაში ადმინისტრატორის მიერ უნდა რეგისტრირდებოდეს:**
   1.1. ტრანსფუზიოლოგიაში ლიცენზიის მქონე სისხლის ბანკები (საიდენტიფიკაციო კოდი, დასახელება, საკონტაქტო ტელეფონის ნომერი, მეილის მისამართი, იურიდიული მისამართი, ფაქტიური მისამართი - რეგიონი,რაიონი, მისამართი, საბანკო რეკვიზიტები, ლიცენზიის ნომერი და თარიღი, ლიცენზიის შეჩერების/ჩამორთმევის თარიღი);
   1.2. სამედიცინო დაწესებულებები (საიდენტიფიკაციო კოდი, დასახელება, საკონტაქტო ტელეფონის ნომერი, მეილის მისამართი, იურიდიული მისამართი, ფაქტიური მისამართი - რეგიონი,რაიონი, მისამართი, ლიცენზიის/ნებართვის ნომერი და თარიღი, ლიცენზიის/ნებართვის მოქმედების/შეჩერების ვადა), რომლებიც მოიხმარენ სისხლსა და მის კომპონენტებს.
   1.3. სისხლის ბანკებსა და სამედიცინო დაწესებულებებზე უნდა გაიხსნას თითო იუზერი და პაროლი, ხოლო დაწესებულების შიგნით პასუხისმგებელ პირებზე იუზერისა და პაროლის გენერირება უნდა შეეძლოს ავტონომიურად;
   1.4. თითოეულ სამედიცინო დაწესებულებაზე და სისხლის ბანკზე უნდა შეგვეძლოს პროგრამაში აქტივაციის და დეაქტივაციის პერიოდის (თარიღის მინიჭება);
2. **ბენეფიციართა რეგისტრაცია:**
   2.1. დონორთა რეგისტრაციას ახორციელებს სისხლის ბანკი, რომელთანაც პირველად მივა დონორი. უნდა მიეთითოს პირადი ნომერი, რომლითაც სამოქალაქო რეესტრიდან ავტომატურად წამოვიდეს სახელი, გვარი, დაბადების თარიღი, იურიდიული მისამართი აქტიურია თუ პასიური (გარდაცვალების შემთხვევაში ავტომატურად გაპასიურდეს), სისხლის ბანკმა ხელით უნდა შეიტანოს დამატებით ფაქტიური მისამართი, ტელეფონის ნომერი და მეილის მისამართი. სისტემაში ერთხელ უკვე გაპასიურებული დონორის ხელახალი რეგისტრაცია არ უნდა იყოს შესაძლებელი;
   2.2. რეციპიენტი, რომელსაც გადაესხა სისხლი ან სისხლის კომპონენტი უნდა დაარეგისტრიროს სამედიცინო დაწესებულებამ. პირადი ნომრის შეტანისას სამოქალაქო რეესტრიდან ავტომატურად წამოვიდეს სახელი, გვარი, დაბადების თარიღი, იურიდიული მისამართი აქტიურია თუ პასიური (გარდაცვალების შემთხვევაში ავტომატურად გაპასიურდეს), სამედიცინო დაწესებულებამ ხელით

უნდა შეიტანოს დამატებით ფაქტიური მისამართი, ტელეფონის ნომერი და მეილის მისამართი, სისხლის გამოყენების მიზეზი (ნოზოლოგიური კოდი, ან ოპერაცია, ან ...);

2.3. დონორების თაობაზე მონაცემთა ბაზაში სისხლის ბანკის მიერ დარეგისტრირებული დამატებითი მონაცემები (საკონტაქტო ტელეფონის ნომერი, ელექტრონული ფოსტის მისამართი, ფაქტიური საცხოვრებელი მისამართი) ხელმისაწვდომი უნდა იყოს მხოლოდ მისი მარეგისტრირებელი დაწესებულებისთვის და სისტემის ადმინისტრატორისათვის, ხოლო დანარჩენი მონაცემები ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველა სისხლის ბანკისთვის;

3. **დონორობისათვის ვარგისობის კითხვარი:**

3.1. ნებისმიერი დონაციისას სისხლის ბანკს უნდა გამოუჩნდეს აუცილებლად შესავსები მინიმალური კითხვარის ფორმა, რომლის ყველა ველი აუცილებლად უნდა იყოს მონიშნული (დიახ ან არა,).

3.2. თუ დონორმა მაგალითად 30 კითხვიანი კითხვარიდან 23-ე კითხვაზე გასცა პასუხი, რომელიც იწვევს მის დონაციისათვის დაწუნებას, შემდგომი კითხვები ავტომატურად დაიბლოკოს და მიეთითოს მიმდინარე დონაციისას დაწუნების კონკრეტული მიზეზი. სისტემა აუცილებლად უნდა ინახავდეს ამ კითხვარის შევსების თარიღს;

3.3. დაწუნების მიზეზებზე ავტომატურად უნდა იყოს დაგენირირებული პერიოდი, თუ როდის შეიძლება ამ დონორის ხელახალ დონაციაზე მოწვევა, 3 თვეში, 6 თვეში (ეს საკითხი სისხლის ექსპერტებმა უნდა განგვისაზღვრონ, რომ ვალიდაციები დაიდოს);

3.4. თუ დონორის დაწუნება ხდება სხვა მიზეზის გამო, ამ შემთხვევაში კითხვარის სრულად შევსების შემდგომ უნდა გამოვარდეს ველი, რომლის მონიშვნის შემთხვევაში მიუხედავად იმისა, რომ ყველა კითხვაზე გაეცა სწორი პასუხი, სისხლის ბანკი სხვა მოსაზრებებით იწუნებს დონორს და ცარიელ გრაფაში მიუთითებს მიზეზს სიტყვიერად, ასევე, მონიშნავს პერიოდს (თარიღს), რომლის შემდგომაც შეეძლება დონორს ხელახლა სცადოს დონაცია ან ანიჭებს უვადოდ დაწუნებულის სტატუსს.

4. **დონაციის კვლევის შედეგები;**

4.1. თითოეულ დონაციაზე უნდა გამოდიოდეს რამდენიმე ველი, საიდანაც ვირჩევთ დონაციის ტიპს (ფასიანი, ნათესავი, უანგარო), დონაციის ჩატარების თარიღი, დონაციის დრო (დაწყება/დასრულება, თუ 15 წუთზე მეტი დრო მოითხოვა, მაშინ პლაზმის დამზადება უნდა დაიბლოკოს), სისხლის რამდენი ბეგის აღება მოხდა (თუ მოხდა ორი ბეგის აღება, მაშინ სისხლის მხოლოდ 2 სრული კომპონენტის დამზადების საშუალება უნდა მისცეს, თუ 2 ბეგზე ნაკლებია მაშინ მხოლოდ ერთი კომპონენტის დამზადების საშუალება უნდა მიეცეს, მაგრამ სისხლის ბანკს აუცილებლად უნდა გამოუვარდეს ფანჯარა სადაც ასარჩევი ველებიდან ერთი აუცილებლად უნდა მონიშნოს, თუ რატომ დაამზადა სისხლის კომპონენტი);

4.2. დარეგისტრირებული დონორის პირველი დონაციის კვლევის შედეგი სისხლის ჯგუფზე და რეზუსზე უნდა აისახოს როგორც უცვლელი ცვლადი და ყველა შემდგომი კვლევისას სისხლის ბანკს უნდა ჰქონდეს სისხლის ჯგუფისა და რეზუსის ჩაწერის/არჩევის შესაძლებლობა ველში, მაგრამ თუ ის განსხვავდება პირველი კვლევის შედეგისგან (რომლის შეცვლა შეეძლება მხოლოდ ცენტრის მთავარ ადმინისტრატორს), სისხლის ბანკს არ მისცეს შესაძლებლობა დაამზადოს და რეალიზაციაში გაუშვას სისხლის კომპონენტები. (მოსაფიქრებელია პასუხებს შორის სხვაობაზე რეაგირების ოპერატიული მექანიზმი).

4.3. სისხლის ბანკს უნდა შეეძლოს დონაციის მასთან აღრიცხვისას გამოყენებული ნომერი ჩააწერინოს ველში, მაგრამ სისტემამ ასევე უნდა დააგენერიროს უნიკალური ნომერი.

4.4. თითოეულ ინფექციაზე კვლევის შედეგები უნდა ჩაიწეროს შესაბამის ველში და შესაბამისად, პროგრამა დონორს ან იწუნებს და ის ბაზაში პასიურდება, ან აგრძელებს შემდგომ დონაციებს, ამასთან თავისი საწყობის ბაზიდან ხდება ტესტის იმ ლოტის არჩევა, რომელიც იქნა გამოყენებული კვლევისას;

4.5. დაწუნების შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს აგრეთვე სისტემის ადმინისტრატორს, მაგალითად ხარისხის გარე კონტროლის შედეგების შეტანის სახით. ამ შემთხვევაში, კონკრეტულ დონაციაზე, რომელზეც განხორციელდა ხარისხის გარე კონტროლი იწერება შედეგი, რაც იწვევს ყველა დანარჩენ მონაცემებზე ასახვას;

5. **ინფექციების კვლევისათვის გამოყენებული ტესტ-სისტემების, სისხლის ჯგუფის და რეზუსის განსასაზღვრი ტესტ-სისტემების და სისხლის შესაგროვებელი ბეგების ბაზა:**

5.1. სისხლის ბანკმა სისტემაში უნდა დაარეგისტრიროს ტესტ-სისტემის და ბეგის დასახელება, მწარმოებელი, ქვეყანა, სენსიტიურობა, სპეციფიურობა, გამოშვების თარიღი, ვარგისიანობის ვადა, სერია, ლოტის ნომერი, რაოდენობა.

5.2. სისხლის ბანკმა უნდა დაარეგისტრიროს სამაცივრე სიმძლავრეები ცალ-ცალკე, დასახელება, მწარმოებელი, ქვეყანა, გამოშვების წელი, მოცულობა, ნომერი.

5.3. რეგისტრაციის შემდგომ უნდა გამოუვარდეს ფანჯარა შეტანილი მონაცემებით და მხოლოდ მას შემდეგ დაამახსოვროს სისტემაში როცა მისცემს შეტანილი მონაცემების სისწორის დამოწმებას, დამოწმების შემდეგ მონაცემების შეცვლა შესაძლებელი უნდა იყოს მხოლოდ იქამდე სანამ არ მოხდება სისტემაში მისი გამოყენება, როგორც კი თუნდაც ერთი ტესტი ან ბეგი იქნება გამოყენებული, საწყობში ამ ტესტის ან ბეგის პარამეტრების ცვლილების ფუნქცია სისხლის ბანკს უნდა დაებლოკოს და მხოლოდ ცენტრის მხრიდან მთავარ ადმინისტრატორს უნდა ჰქონდეს მისი შეცვლის უფლება;

5.4. საწყობში რეგისტრირებული ტესტების და ბეგების კვლევებში გამოყენების შესაძლებლობა უნდა დაიბლოკოს ვრგისიანობის ვადის გასვლისთანავე, გამოუყენებელ ნაშთებს კი მიეთითოს როგორც განადგურებული ვარგისიანობის ვადის გასვლის გამო;

5.5. საწყობის მოდულში თითოეული ლოტის რეგისტრაციის შემდგომ სისხლის ბანკს უნდა შეეძლოს ნაშთების მართვა, ანუ თუ 100 ტესტიდან გამოიყენა მხოლოდ 70, მაგრამ დარჩენილი 30 გაუვარგისდა სხვადასხვა მიზეზების გამო, უნდა არსებობდეს ველი საიდანაც აირჩევს კონკრეტულ მიზეზს და ჩაწერს რაოდენობას, რითაც ეს რაოდენობა არჩეული მიზეზით დააკლდება საწყობში არსებულ მარაგს.

5.6. საწყობის აღრიცხვა უნდა ხდებოდეს სავალდებულოდ ყოველი თვის პირველ სამუშაო დღეს, ხოლო საჭიროების მიხედვით მანამდეც, ანუ თვის პირველ სამუშაო დღეს აუცილებლად უნდა გამოვარდეს ფანჯარა რეგისტრირებული ტესტების და ბეგების ნაშთებზე და სისხლის ბანკმა უნდა დაადასტუროს ან გაანაშთოს ისინი არსებული რელობის მიხედვით.

6. **დონაციის მოცულობები:**

6.1. სისხლის დონაცია არ უნდა აღემატებოდეს ერთ დონაციაზე ასაღებ მაქსიმალური სისხლის რაოდენობას;

6.2. თუ სისხლი აღებული იქნა მინიმალურად დასაშვებ რაოდენობაზე ნაკლები მოცულობით ის ავტომატურად უნდა იქნას პროგრამის მიერ დაწუნებული;

6.3. დონაციიდან დონაციამდე უნდა იქნას დადებული ვალიდაციის პერიოდები;

6.4. აღნიშნული სისხლიდან დამზადებული სისხლისა და სისხლის კომპონენტების ჯამური მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს აღებული სისხლის ბეგებით განსაზღვრულ მოცულობებს;

6.5. სისხლიდან დამზადებული პრეპარატების სტანდარტული არჩევანი უნდა იყოს რომელთა მონიშვნის შედეგად გამოვა ველი სადაც მიეთითება თითოეული მონიშნული გასწვრივ მასა, და შენახვისას პროგრამამ ვალიდაცია უნდა გაუკეთოს დამზადებულ და აღებულ სისხლის მასის შესაბამისობას;

6.6. თითოეულ სისხლს და სისხლის კომპონენტს ავტომატურად უნდა მიენიჭოს უნიკალური ნომერი (რომლის დაგენერირება სისტემამ უნდა განახორციელოს ავტომატურად, მაგალითად, დონორის პირადი ნომრის ბოლო 4 ციფრი, სისხლის კომპონენტის რიგითი ნუმერაცია, აღების რიცხვი, თვე, წელი...), უნდა მიეთითოს დონაციის თარიღი, დამზადების თარიღი, ვარგისიანობის ვადა (ეს უკანასკნელი ალბათ წინასწარ განსაზღვრულია), შენახვის პირობები (მაგ, 2-6 გრადუსი)

6.7. სისხლის ბანკმა უნდა ამობეჭდოს ეს ნომრები და მიაწებოს თითოეულ სისხლის ნიმუშს, ასევე ორ საკონტროლო ალიქვოტს;

7. **სარეზერვო დონორები:**

7.1. სისხლის ბაზამ სისხლის ბანკის მიერ დარეგისტრირებული დონორებიდან (ფასიანი, უანგარო, ნათესავი) 1% უნდა დაბლოკოს შერჩევითად (რეზუსის ჯგუფების, კატეგორიების მიხედვით) და არცერთ სისხლის ბანკს არ მისცეს მათგან დონაციის აღების საშუალება, თუ არ მიეთითა

ურგენტული შემთხვევის კლასიფიკაცია. ამ დონორების გამოყენება თუ ვერ განხორციელდა 2 თვის განმავლობაში, მაშინ ისევ გააქტიუროს და მოხდეს მათი ჩანაცვლება/დარეზერვება სხვა დონორებით. ეს ვალიდაცია გასათვალისწინებელია, მაგრამ სავალდებულოდ ავამოქმედოთ მას შემდეგ რაც მიიღწევა შესაბამისი კონსენსუსი.

4. ხელშეკრულების კონტროლი

4.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს – „შემსყიდველის" სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებების შესრულების კონტროლის ჯგუფი ან/და შესაბამისი ფუნქციებით აღჭურვილი პირი რომელიც წარმოქმნილი საჭიროებიდან გამომდინარე, განახორციელებს ინსპექტირებას, რაც გულისხმობს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლს.

4.2. ინსპექტირების განხორციელებასთან დაკავშირებული ყველა საჭირო საბუთის წარდგენა, ფინანსური ხარჯის და საორგანიზაციო საკითხების გადაწყვეტა ეკისრება მიმწოდებელს.

5. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

5.1. „მომსახურების" უხარისხობის შემთხვევაში „შემსყიდველი" წერილობით აცნობებს „მიმწოდებელს" წუნდების მიზეზების მითითებით. „მიმწოდებელი" საკუთარი სახსრებით დაუყოვნებლივ უზრუნველყოფს შესყიდვის ობიექტის ნაკლის აღმოფხვრას „შემსყიდველის" ინტერესების გათვალისწინებით.

6. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები, ადგილი და ვადები

6.1.„მომსახურების" გაწევა განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 2016 წლის 31 იანვრის ჩათვლით

6.2. „მომსახურების" გაწევის ადგილი: ქ. თბილისი.

7. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

7.1. მომსახურების მიწოდების დასრულების შემდგომ ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი.

7.2. შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ განხორციელდება მოწოდებული მომსახურების შემოწმება, რომელსაც განახორციელებს შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ სპეციალურად შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი.

7.3. წარმოდგენილ ანგარიშ ფაქტურას ან/და სასაქონლო ზედნადებს შემსყიდველის მხრიდან ხელს აწერს სათანადოდ უფლებამოსილი წარმომადგენელი, ხოლო მიმწოდებლის მხრიდან მის მიერ უფლებამოსილი პირი.

7.4. მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს შემსყიდველისათვის 7.3. პუნქტში მითითებული დოკუმენტაციის წარდგენა მომსახურების დანიშნულების ადგილზე მიწოდებისთანავე. პასუხისმგებლობა შემსყიდველის მიერ აღნიშნული დოკუმენტაციის დაგვიანებით მიღების ან მიუღებლობის შედეგად წარმოქმნილი ყველა ხარჯებისათვის ეკისრება მიმწოდებელს.

7.5. „მომსახურების" მიღების დროს გამოვლენილი დეფექტისა და ნაკლის აღმოფხვრას, საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს „მიმწოდებელი".

7.6. იმ შემთხვევაში, თუ „შემსყიდველის" მიერ საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი იქნება „მომსახურების" უხარისხობა, იგი წერილობით აცნობებს „მიმწოდებელს" წუნდების მიზეზების მითითებით და მოითხოვს სათანადო კომპენსაციას.

8. ანგარიშსწორების წესი, ფორმა და ვადები

8.1. ანგარიშსწორების ფორმა იქნება: უნაღდო ანგარიშსწორება „მიმწოდებლის" საბანკო ანგარიშზე.

8.2. ანგარიშწორება განხორციელდება წინასწარი ანგარიშწორებით(100%), საბანო/სადაზღვევო გარანტიის წარმოდგენის საფუძვერლზე არაუგვიანეს 2015 წლის 1 დეკემბრისა, საბანკო/სადაზღვევო გარანტიის ვადა არანაკლებ 30 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს მომსახურების გაწევის ვადას.

9. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

9.1. „შემსყიდველი" უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება „მომსახურების" ხარისხის, ვადის ან/და მიწოდების პირობების გაუარესების გამო, აგრეთვე მე-12 მუხლით გათვალისწინებული პირობების შემთხვევაში;

9.2. „შემსყიდველი" ვალდებულია უზრუნველყოს გაწეული მომსახურების ღირებულების დროული

გადარიცხვა მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე;
9.3. „მიმწოდებელი“ უფლებამოსილია მოსთხოვოს „შემსყიდველს“ „მომსახურების“ ღირებულების დროული გადარიცხვა მის საბანკო ანგარიშზე;
9.4. „მიმწოდებელი“ ვალდებულია: უზრუნველყოს ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ხარისხის „მომსახურების“ მიწოდება შემსყიდველისათვის ხელშეკრულებით დადგენილი პირობების შესაბამისად;

10. პირგასამტეხლო

10.1. ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადების გადაცდენის, ასევე მე-9 მუხლით გათვალისწინებული სხა პირობების არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გაანგარიშებით ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ს ოდენობით.
10.2. ხელშეკრულების მე-9 და მე-10 მუხლებით გათვალისწინებული დარღვევათა გარდა, სხვა პირობების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევი მხარე იხდის პირგასამტეხლოს ხელშეკრულების ღირებულების 1%-ს ოდენობით.

10.3 იმ შემთხვევაში, თუ ერთი მხარის მიმართ პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2%-ს მეორე მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოითხოვოს მიყენებული ზარალის ანაზღაურება.

10.4 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10.5 მხარეები ვალდებულებას იღებენ უზრუნველყონ პირგასამტეხლოს თანხის გადახდა წერილობითი შეტყობინების მიღებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში.

11. დაუძლეველი ძალის მოქმედება

11.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის დაუძლეველ გარემოებათა შედეგი.
11.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „დაუძლეველი ძალა“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული „შემსყიდველისა“ და/ან „მიმწოდებლის“ შეცდომებსა და დაუდევრობასთან და მას გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შიეძლება გამოწვეული იქნას საბრძოლო მოქმედებებით, წყალდიდობით, ეპიდემიით, კარანტინით, და სხვა მასთან გათანაბრებული მოვლენებით. რომელსაც ცნობენ მხარეები.
11.3. დაუძლეველი გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება აღწერილობით გარემოებებისა და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობათა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან დაუძლეველი გარემოებების ზეგავლენისაგან.
11.4. დაუძლეველი ძალის არსებობა, უკიდურეს შემთხვევათა გარდა, უნდა იყოს დადასტურებული ოფიციალური ორგანოების მიერ, პრესის ან სხვა მხარეებისათვის მისაღები ფორმით.

12. ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1 ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ერთ-ერთი მხარის ინიციატივით მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.
12.2. ხელშეკრულების 12.1 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში მხარე ვალდებულია მეორე მხარეს აღნიშნულის თაობაზე აცნობოს წერილობით, არაუგვიანეს 15 სამუშაო დღით ადრე.
12.3. წერილობითი შეტყობინება არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან ხელშეკრულების შეწყვეტამდე.

13. სადავო საკითხების გადაწყვეტა

13.1. „შემსყიდველმა“ და „მიმწოდებელმა“ უნდა იხმაროს ყველა ღონე, რათა მათ შორის, ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ, მოაგვარონ მოლაპარაკების წესით.

13.2. თუ „შემსყიდველი“ და „მიმწოდებელი“ ვერ შეძლებენ სადაო საკითხის მოგვარებას მოლაპარაკების გამართვის შემდეგ, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს სასამართლოს, რის შესახებაც იგი წინასწარ აცნობებს მეორე მხარეს.

14. გამოსაყენებელი სამართალი

14.1. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

15. ხელშეკრულების ენა

15.1. ხელშეკრულების ენაა ქართული. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის უნდა შეესაბამებოდეს სახელშეკრულებო პირობებს.

16. ურთიერთობა მხარეებს შორის

16.1. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

16.2. შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

17. ხელშეკრულების სხვა პირობები

17.1. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა ხდება მხოლოდ მხარეების მიერ წერილობითი შესწორებით და ფორმდება ხელშეკრულების დანამატის სახით, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

17.2. „მიმწოდებელს“ არ აქვს უფლება „შემსყიდველის“ წერილობითი თანხმობის გარეშე მოახდინოს მესამე პირისათვის უფლებების გადაცემა.

17.3. ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული შემთხვევებისა.

17.4. ხელშეკრულების შესრულების შეფერხების შემთხვევაში მხარეები დაუყოვნებლივ წერილობით ატყობინებენ ერთმანეთს და ღებულობენ ერთობლივ გადაწყვეტილებას.

18. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

18.1. ხელშეკრულება შედის ძალაში მხარეთა მიერ ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის თარიღიდან.

18.2. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება: 2016 წლის 31 მარტის ჩათვლით.

18.3.ხელშეკრულების მოქმედების ვადებში ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა ურთიერთშეთანხმებით.

18.4. ურთიერთობა მხარეებს შორის წყდება მხარეების მიერ ყველა ვალდებულებათა შესრულებისა და დებიტორულ-კრედიტორულ დავალიანებათა დაფარვის შემდგომ.

19. განსაკუთრებული შენიშვნები

19.1. ხელშეკრულება დგება სამ თანაბარძალოვან ეგზემპლიარად, საიდანაც ერთი ეგზემპლიარი გადაეცემა „მიმწოდებელს“ ხოლო ორი ეგზემპლიარი ინახება „შემსყიდველთან“.

20. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი“

სსიპ „ლ. საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლის და საზოგ. ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“
მისამართი: თბილისი, მ.ასათიანის 9
საიდენტიფიკაციო კოდი: 211324351
სახელმწიფო ხაზინა: TRESGE22
ა/ნ: GE24NB0330100200165022

გენერალური დირექტორის მოადგილე:
ეკატერინე ქავთარაძე

„მიმწოდებელი“

შპს „მაისოფტ“
მისამართი:ქ. თბილისი, ფალიაშვილის #5;
საიდენტიფიკაციო კოდი: 205033113
ს.ს „პროკრედიტ ბანკი”
ბანკის კოდი: MIBGGE22
ა/ნ: GE56PC0353600100001801
ელ-ფოსტა: djorj@mysoft.ge

დირექტორი:
დავით ჟორჟოლიანი